ლექცია 11

მასწავლებლთა გუნდების შექმნა. თემატური დაგეგმვა. პრაქტიკული მუშაობა გაკვეთილების თემატურ დაგეგმვაზე

CLIL გამოწვევაა მასწავლებლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. სხვა მასწავლებლებთან გუნდის შექმნა გაკვეთილების და ერთიანი აქტივობების ან სტრატეგიების დასაგეგმად, ან მასალის ადაპტაციისა და შემუშავებისათვის სინერგიის შექმნის გზაა, რომლითაც CLIL გამოწვევის მოთხოვნების დაკმაყოფილება უფრო ადვილი ხდება. მას შეუძლია სტრესის დონის დაწევა, მუშაობის ეფექტურობის გაზრდა, ზუსტი მიზნების ჩამოყალიბება და დუბლიკაციის თავიდან არიდება. რაც მთავარია, საგნების დაკავშირება მათ სწავლის პროცესს უფრო აზრიანს ხდის მოსწავლეებისათვის და ამზადებს მათ ცხოვრებისთვის, რომელიც არაა ორგანიზებული ცალ-ცალკე საგნებად.

CLIL-ის დაწყების მერე გირჩევთ, რომ ჩაატაროთ ყოველკვირეული შეხვედრები CLIL მასწავლებლებთან და სხვებთან, ვინც დაკავშირებულია მოსწავლეთა იმავე ჯგუფებთან. მაგალითად, პირველი ენის მასწავლებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოკავშირე შეიძლება იყოს. ეს შეხვედრა იქნება ადგილი დაგეგმვისა და უსაფრთხო, ღია და პირდაპირი დისკუსიებისათვის. ამ შეხვედრებისას შესაძლოა შემდეგ პუნქტებზე აქცენტი:

ერთიანობის მიღწევა - იმის გააზრება, რომ თითოეული მასწავლებლის განსხვავებული კონტრიბუციები ეხმარება მოსწავლეებს დაგეგმილი შედეგების მიღწევაში.

მიღწევების აღიარება - გამოყავით დრო იმის აღსანიშნავად, რასაც თქვენ, თქვენმა კოლეგებმა და თქვენმა მოსწავლეებმა მიაღწიეთ.

*სწავლის უნარების შედეგებზე შეთანხმება** - ერთი სწავლის უნარი შესაძლოა გახდეს მთელი სკოლის ცენტრალური ფოკუსი ერთი, ორი ან სამი კვირის განმავლობაში. თქვენ შეთანხმდებით, ვინ რას ასწავლის და როგორ განამტკიცებთ ამ უნარს.

პრობლემები - პრობლემები CLIL-ში ყველა ექმნება, ისევე, როგორც ყველა მასწავლებელს აქვს პრობლემები თავის საკლასო ოთახში. გუნდური კულტურა, რომელიც პრობლემებს ლეგიტიმურად აქცევს, მათ გადაჭრაზე აკეთებს აქცენტს, დაეხმარება ყველას, წარმატებით წავიდეს წინ და თავი კარგად იგრძნოს ამ სამუშაოზე მუშაობის პროცესში.

---

* შენიშვნა: შეთანხმებული საკვანძო პუნქტების ჩამოწერით მონაწილეთა გეგმები და ვალდებულებები უფრო ცხადი გახდება და უფრო დიდი შანსია მათი იმპლემენტაცია მოხდეს.

ენის შედეგებზე შეთანხმება - მიიღება გადაწყვეტილებები, თუ რომელი გრამატიკული პუნქტ(ებ)ი, დისკურსის პატერნები ან ლექსიკა იქნება კვირის ფოკუსი. მონაწილეები თანხმდებიან, თუ ვინ რას გააკეთებს.

ინტერდისციპლინარული პროექტების შექმნა - მაგალითად, პროექტი, რომელიც შეიცავს რამდენიმე CLIL მასწავლებელს, შეიძლება შეიცავდეს მშობლიური ენის მასწავლებელსაც. მოსწავლეებმა შეიძლება პროექტის კონსპექტი მშობლიურ ენაზე გააკეთონ. ეს ერთი გასროლით რამდენიმე კურდღელს კლავს - რთავს არა- CLIL მასწავლებელს, ეს მასწავლებელი უკეთ იგებს, თუ რა კეთდება CLIL-ში და ამას შეუძლია საჭირო ტერმინოლოგიის მშობლიურ ენაზე სწავლის ხელშეწყობა.

გაკვეთილების ვიდეოკლიპების არჩევით გაზიარება - მასწავლებელი, რომლის გაკვეთილიც გადაიღეს, წყვეტს, რომ გაუზიაროს ამ გაკვეთილის ნაწილები ან მთლიანი თავის კოლეგებს. დისკუსიის ყურადღების ცენტრში არის იმის იდენტიფიცირება, თუ რა გაკეთდა კარგად. მასწავლებელი ირჩევს ერთ მომენტს, რომლის გაუმჯობესებაზე საუბარიც სურს და სთხოვს სხვებს იდეების მიწოდებას. ამ დისკუსიაში კრიტიკის ადგილი არ არის. პირადი სირთულეების გაზიარება უნდა წახალისდეს, ისევე როგორც კონსტრუქციული შეთავაზებები.

გააკეთე და წაიღე - სესია, რომელზეც მასწავლებლები ხვდებიან მოცემული თემისათვის მასალის მოსამზადებლად. ალტერნატიული ვარიანტია, რომ ამ სესიებს წაუძღვეს მასალის შემუშავების ექსპერტი. მასწავლებლებს ეძლევათ რესურსები და მითითებები გარკვეული ტიპის მასალის შექმნის შესახებ.

რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების შესახებ მსჯელობა - მასწავლებლები ადგენენ საერთო სტრატეგიას, მოახსენებენ პროგრესს და სთავაზობენ საჭირო ცვლილებებს.

ტექნიკების გაზიარება - თვეში ერთხელ პერსონალის შეხვედრაზე ერთი მასწავლებელი აზიარებს ტექნიკას, რომელიც მან კლასში განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენა.

ერთი პროექტის რამდენიმე მასწავლებლის მიერ შეფასება - ეხმარება ღირებულებებისა და სტანდარტების გათანაბრებას. ახალისებს მოსწავლეებს, რომ იმუშავონ დამატებით და უკეთ გაიაზრონ წარმატებისათვის საჭირო უნარები და ძალისხმევა.

სტანდარტების წინა შეთანხმებების ან კარგი სწავლების ინდიკატორების გადახედვა - მათი გადახედვა ხშირად ეხმარება მნიშვნელოვანი პრინციპების გახსენებასა და საერთო მიზნებისკენ სვლაში.

ცენტრალურად ორგანიზებული რაიონული შეხვედრები - ადმინისტრატორები ქმნიან ფორუმს და აწყობენ მოკლე პროფესიული განვითარების სესიას. ადმინისტრატორების ნაცვლად, შეიძლება კურატორები დაეხმარონ მასწავლებლებს გამოცდილების გაზიარებაში.

ჯგუფური მიღწევების შეჯამება და მენეჯმენტისთვის ინფორმირების გზის გადაწყვეტა - ხანდახან კარგია საკუთარი თავის შექება. თუ ბევრს მუშაობდით სწავლების გაუმჯობესებაზე, სხვებმა უნდა

გაიგონ, თუ რა გააკეთეთ. ეს გააძლიერებს თქვენ მიმართ ნდობას და თქვენს პოზიციას, რომლიდანაც უფრო იოლად მოახდენთ გავლენას თქვენი სამუშაოსთვის საჭირო რესურსების მიღებაზე.

შეხვედრების გარდა, თქვენს კოლეგებთან გუნდურად მუშაობის მრავალი სხვა ვარიანტი არსებობს. მომდევნო სტრატეგიები შეგროვებულია პრაქტიკოსი მასწავლებლებისაგან:

დაკვირვება - ერთი ან ორი მასწავლებელი აკვირდება კოლეგის მთელ გაკვეთილს. ამის შემდეგ ეს გაკვეთილი განიხილება. ეს ინსტრუმენტი განსაკუთებით ეფექტურია, თუ მასწავლებლები წინასწარ შეთანხმდებიან განსახილველ საკითხზე,მაგალითად: მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობის ალაპარაკება, ან კრიტიკული აზროვნებისათვის ხელშეწყობა. ეს ეხმარება იმ ადამიანის სტრესის შემცირებას, ვისი გაკვეთილსაც აკვირდებიან. ის ხელს უწყობს სიღრმისეულ დიალოგს, რომელიც ეხმარება პროფესიულ ზრდას.

სკოლების გაცვლა - მასწავლებელი ერთი სკოლიდან ერთი დღით ან კვირით უცვლის გაკვეთილებს მასწავლებელს მეორე სკოლიდან. ახალი მოსწავლეები და სკოლის განსახვავებული კულტურა პროფესიულ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

გუნდური სწავლება - ორი მასწავლებელი მთელი გაკვეთილის მსვლელობისას ერთად მუშაობს ყველა მოსწავლის პროცესში ჩასართავად, რისი კეთებისასაც ისინი ახდენენ ერთმანეთისთვის საყვარელი სტრატეგიების მოდელირებას.

წარმატებული ისტორიები - კვირაში ერთხელ, იმეილის საშუალებით, ერთი მასწავლებელი უზიარებს სხვებს წარმატებას, რომელიც მას თავის გაკვეთილზე ჰქონდა და ხსნის, თუ რამ გამოიწვია ის.

ახალი ან ადაპტირებული მასალის სკოლის ინტრანეტში დაპოსტვა - კეთდება ანონიმურად ან სახელისა და გვარის დაფიქსირებით. იმის დაგეგმვას, თუ როგორ მოხდება ნამუშევრის დაარქივება და გაზიარება, ცოტაოდენი ფიქრი სჭირდება. როდესაც ხალხს გამოუმუშავდება ყველა მასალის ინტერნეტში შექმნისა და შენახვის ჩვევას, ყველასთვის მისაწვდომი გახდება რესურსების დიდი რაოდენობა.

იდეების ბანკის შექმნა - ეს კეთდება სკოლის სერვერზე. გამოიყენება იდეების გაზიარებისათვის, მათ შორის დისციპლინის, პროექტების, აქტივობების, შეფასებისა და მასალის პროფესიულად შემუშავების შესახებ.

ჩათის ოთახები - ყოველკვიურეულად განსაზღვრული დროის დანიშვნა სკოლის ვებგვერდზე, როდესაც ამ და მეზობელი სკოლის მასწავლებლებს შეეძლებათ საუბარი პრობლემებზე, გადაჭრის გზებზე, წარმატებებზე და ა.შ.

სკაიპით კომუნიკაცია - ეს უფასო პროგრამა შესაძლებელს ხდის ადამიანთა მცირე ჯგუფის საუბარს კვირის განსაზღვრულ დროს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად. ის მუშაობს განსაკუთრებით კარგად პატარა, სამ კაცამდე ჯგუფებში.

სამიზნე ჯგუფთან ერთად მუშაობა - საგნის ან/და ენის მასწავლებელი და ასისტენტი კონცენტრირდებიან მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფზე, რათა მათ შეძლონ წინსვლა.

ინსპექციის როლური თამაში - ორი კოლეგა იყენებს საგანმანათლებლო ავტორიტეტის კრიტერიუმებს ან დაკვირვების ჩეკლისტს გაკვეთილის შესაფასებლად. შემდეგი როლური თამაში არის დიალოგი ინსპექტორსა და მასწავლებელს შორის.

თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორები

თანამშრომლობას საკუთარი საფრთხეები აქვს. სხვა მასწავლებელთან გაერთი-ანებისას თავი არიდეთ:

1) მენეჯერების მიერ თქვენი მიზნის მიტაცებას
   მენეჯერების ყოველთვის დიდი წნეხის ქვეშ არიან, რომ ჰქონდეთ შედეგი, განსაკუთრებით ისეთ გარემოში, რომელსაც მართავს ეროვნული ტესტების შედეგები. არ დათმოთ თქვენი მიზანი. გრძელვადიანი პერსპექტივიდან, ის დაეხმარება მოსწავლეების სწავლის გაუმჯობესებაში და, სავარაუდოდ, ტესტის შედეგებიც გაუმჯობესდება.
2) ბრალდების თამაშის თამაში
   ადმინისტრატორები, მოსწავლეები და მშობლები იოლი სამიზნეები არიან. სხვებისთვის ბრალის დადების ნაცვლად, აქცენტი უნდა კეთდებოდეს გადაწყვეტების პოვნაზე, თითოეული ჯგუფის ინფორმირებულობისა და მათზე გავლენის ზრდაზე. შეეცადეთ, თქვენი შეხვედრები არ გადაიზარდოს იმაზე წუწუნში, თუ რა არ მუშაობს. ამგვარი შეხვედრები მხოლოდ დეპრესიასა და სასოწარკვეთას იწვევს. ეძებეთ გამომწვევი მიზეზები და განიხილეთ სცენარები, რომლებიც მოცემულ პრობლემებს მიემართება.
3) ჯგუფური მუშაობის დინამიკის ვერგაგება
   ჯგუფური დინამიკის შესახებ ცოდნა მოგცემთ თანამშრომლობის უკეთ გაგებისა და მართვისთვის საჭირო ინსტრუმენტებს. ეს დაგეხმარებათ საწყისი ეტაპიდან გუნდის შექმნამდე პროგრესის შეფასებაში, კონფლიქტების მოგვარებაში, პარამეტრების განსაზღვრასა და უფრო პროდუქტიულ ფაზამდე მისვლაში.
4) მხოლოდ თქვენი გუნდის რესურსებზე დაყრდნობა
   რაღაც მომენტში თქვენ დაიწყებთ საკუთარი ცოდნის გადამუშავებას. საჭიროა გუნდში ახალი ცოდნის შემოტანა კითხვით, პროფესიული განვითარების კურსებით, სხვა სკოლების მონახულებით და ა.შ.
5) მოკლევადიანი გამარჯვებების ზეიმის დავიწყება
   ისიამოვნეთ და აღნიშნეთ თქვენი მცირე გამარჯვებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი დაიღლება!

დირექტორი/ადმინისტრატორი სასწავლო გუნდის ნაწილია. თუმცა, მათ შეიძლება დასჭირდეთ თქვენი დახმარება CLIL მოსწავლეებისა და მასწავლებელთა გუნდის საჭიროებების ბოლომდე გასაგებად. განსაკუთრებით CLIL პროგრამის დასაწყისში შესაძლოა დაგჭირდეთ დამატებითი ფინანსები სასწავლო მასალისათვის და დამატებითი დროის დასაგეგმად. კარგი იქნება, თუკი დირექტორებს ეცოდინებათ, როგორ ეხმარებოდნენ მათი კოლეგები CLIL მასწავლებლებს ერთობლივი დაგეგმვისათვის საჭირო დროის პოვნაში - ადაპტირებული კლაუდისა და სხვებისაგან (2000):

- დირექტორს მიჰყავს მოსწავლეთა სამი კლასი აუდიტორიაში და ანახვებს მათ საგანთან დაკავშირებულ ფილმს. ამის მერე მას წარმართავს დისკუსიას.
- დირექტორს მიჰყავს მოსწავლეთა ხუთი ან ექვსი კლასი და უტარებს ლექციას. მოსწავლეებს ეუბნებიან, რომ ეს ფორმატი ხშირია განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე. ლექციის წინ მათ ეძლევათ რჩევები ჩანაწერების გაკეთების შესახებ. ლექციის შემდეგ მოსწავლეები აანალიზებენ თავიანთ ჩანაწერებს და ადარებენ მას მოდელთან შეფასების ცხრილის გამოყენებით, იმის განსასაზღვრავად, რამდენი საკვანძო პუნქტი ჩაინიშნეს, შექმნეს თუ არა ქვესათაურები და ა.შ.
- ერთ მასწავლებელს მოსწავლეთა ორი ჯგუფი მიჰყავს ერთი საათით, რათა მეორე მასწავლებელი გათავისუფლდეს.
- გაკვეთილების ცხრილები ისეა შედგენილი, რომ რამდენიმე მასწავლებელს, რომელთაც თანამშრომლობა სჭირდებათ, ერთდროულად აქვთ დაგეგმვის პერიოდები.
- მასწავლებლები თავისუფლდებიან დერეფანში ან ბუფეტში მორიგეობისაგან
- ერთი ან ორი დროებითი (სათადარიგო) მასწავლებელი დაქირავებულია კვირაში ერთი დღე მოსასვლელად. თუ მოსწავლეებს ინდივიდუალური დავალება ეძლევათ, ან, თუნდაც, ჯგუფური სამუშაო, დროებითი მასწავლებელი შეძლებს ერთდროულად ორ კლასს წაუძღვეს.
- არჩევითი საგნების ბლოკი დანიშნულია დღის ერთსა და იმავე დროს და ისწავლება დარგის ექსპერტების მიერ.
- კურიკულუმის, კურსის ან სასწავლო მასალის ფინანსები მოიძიება სასწავლო წლის ან ზაფხულის განმავლობაში.
- მოსწავლეები მიიღებიან სკოლაში რეგულარულად, რაც მისცემს ზოგიერთ მასწავლებელს საშუალებას, ზოგჯერ დატოვოს კლასი დასაგეგმი სესიისათვის.
- სკოლის ყველა მოსწავლის შეკრებისას ერთ მასწავლებელს შეუძლია ორ კლასს უმეთვალყურეოს, რითაც პერსონალის ნახევარი თავისუფლდება.

პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 145-152.

ბილინგვური გაკვეთილის დაგეგმვის ეტაპები

ა. გაკვეთილის თემის შერჩევა.

ბ. მოტივაცია.

- რისთვის არის საჭირო ეს გაკვეთილი?
- რამდენად არის დაკავშირებული გაკვეთილის თემა იმ ცოდნასთან,
  - რომლის შეძენაც სხვა გაკვეთილების შედეგად მოხდა?
  - დაკავშირებულია თუ არა გაკვეთილის თემა ადრე მიღებულ ცოდნასთან და მომავალში მისაღებ მასალასთან?
  - რამდენად არის გაკვეთილის თემა დაკავშირებული მოსწავლეთა პირად გამოცდილებასთან და მათ ინტერესებთან?
  - როგორ მოხერხდება ამ გაკვეთილის საშუალებით სწავლის სწავლა და კრიტიკული აზროვნების განვითარება?
  - რა სახის ინფორმაციას მიიღებენ მოსწავლეები ამ გაკვეთილის საშუალებით?
  - როგორ უნდა მოხდეს გაკვეთილის გეგმის შემუშავება იმგვარად, რომ გაიღვიძოს თითოეული მოსწავლის პერსონალურმა ინტერესმა?
  - რა სახის კითხვების დასმა მოხდება მოსწავლეთათვის, როგორ გაართმევენ თავს ახალი თემის გაგებას, როგორ შეძლებენ ახალი ინფორმაციის გაანალიზებას, იდეების სინთეზირებას და ა.შ.
  - როგორ შეიძლება გაკვეთილის თემის გამოყენება იმგვარად, რომ განვითარდეს კითხვების დასმის, ანალიზის, დისკუსიის შესაძლებლობა?
  - თემის როგორი ასპექტებით არის შესაძლებელი მოსწავლეთათვის შემდგომი კვლევითი მუშაობისათვის ხელშეწყობა?
  - როგორ მოხდება აღნიშნული გაკვეთილის საშუალებით მეორე ენის ათვისება და როგორ ჩამოუყალიბებს მოსწავლეს დადებით დამოკიდებულებას მეორე ენის მიმართ?
  - რა სახის თანამშრომლობა იქნება საგნის მასწავლებელსა და ენის მასწავლებელს შორის?
  - გაკვეთილის რომელ ეტაპზე და რა მიზნით მოხდება მშობლიური ენის და მეორე ენის გამოყენება?
  - რომელი სიტყვების შეთვისებაა აუცილებელი მეორე ენიდან, მოსწავლის ლექსიკონიდან რომელი სიტყვების აქტივიზაციაა აუცილებელი?
  - სწავლების რა სახის მეთოდები და მეთოდოლოგიური ხერხები იქნება გამოყენებული იმისათვის, რომ მოსწავლეში განავითაროს ზეპირსიტყვიერი და წერილობითი სახით მეორე ენაზე აზრის და გრძნობის გადმოცემა?
  - როგორ განხორციელდება მოსწავლეთა თანამშრომლობა და მათ მიერ ახალად ათვისებული ლექსიკის გამოყენება?

გ. გაკვეთილის მიზნები

ყოველი გაკვეთილისათვის საჭიროა რამდენიმე მიზნის წინ წამოწევა:

- მიზანი, რომელიც დაკავშირებულია ათვისებული მასალის შინაარსთან;

- მიზანი, რომელიც ავითარებს მოსწავლის კრიტიკულ აზროვნებას და მისი სწავლების შესაძლებლობებს;
- მიზანი, რომელიც ავითარებს მეორე ენის შესაძლებლობებს და იძლევა კულტურულ გარემოში ინტეგრირების საშუალებას.

დ. წინასწარ წაყენებული პირობები

აუცილებელია იმის შეფასება, თუ რა უნდა იცოდეს და შეეძლოს მოსწავლეს იმისათვის, რომ წარმატებით გაართვას თავი ახალ მასალას.

- რა წინასწარი ცოდნა გააჩნია მოსწავლეს თემის ირგვლივ?
- იმისათვის რომ ცოდნა შენარჩუნებული და ხანგრძლივი იყოს, აუცილებელია მისი შეთვისება უკვე ნაცნობ და გასაგებ კონტექსტში, ამიტომ თითოეული თემის ათვისებამდე საჭიროა რომ მოსწავლე ფლობდეს წინასწარ ინფორმაციას აღნიშნული თემის შესახებ.
- გვაძლევს თუ არა მოსწავლეთა ნიჭიერების დონე, აზროვნება და სწავლის უნარი იმის საშუალებას, რომ მათ დაძლიონ მასწავლებელთა მიერ გაკვეთილისათვის შემუშავებული მასალა?
- თუ ხდება სწავლების ახალი მეთოდის გამოყენება, მოსწავლეებისათვის აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება. თუ გაკვეთილზე გეგმავთ ახალი მეთოდის შეტანას, მაშინ მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევა აღნიშნული მეთოდის მიმართ შესაძლებელია კითხვების დასმით. იმის აუცილებლობა, რომ თავიდანვე განვითარდეს სწავლების შესაძლებლობა, შეეხება მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობასაც და სწავლების შესაძლებლობის გათავისებას.
- რა დონეზეა წარმოდგენილი ქართული ენის ცოდნა და ბილინგვურად სწავლების მზაობა?
- მასწავლებლისათვის აუცილებელია შეაფასოს კლასში მოსწავლეთა მიერ მეორე ენის ცოდნის დონე. აგრეთვე აუცილებელია იმის დამახსოვრება, რომ ბილინგვურ მეთოდებში მთავარ პრინციპს წარმოადგენს არა გადათარგმნა, არამედ შედარება.

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, „საიმედო“,
თბილისი, 2010 (ყველა საგნობრივი მიმართულება; მესამე ნაწილი).